საქართველოს საოჯახო მედიცინის
პროფესიონალთა კავშირი
თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. N 57
ტელ: + 995 322 95 98 66
ელ.ფოსტა: nfmtc@nilc.org.ge

GEORGIA FAMILY MEDICINE
ASSOCIATION
57 M.Tsinamdzghvrishvili str. Tbilisi, Georgia
Tel.: + 995 322 95 98 66
e-mail: nfmtc@nilc.org.ge

№1-25/10 **6/06/2023**

დასკვნა-რეკომენდაცია

რეცენზია პროტოკოლსა და კლინიკურ გზამკვლევზე „მოციმციმე არითმიის გამოვლენა, დიაგნოსტიკა და მართვა პირველად ჯანდაცვაში“

საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირს რეცენზირებისთვის წარედგინა კლინიკური გზამკვლევი და პროტოკოლი „მოციმციმე არითმიის გამოვლენა, დიაგნოსტიკა და მართვა პირველად ჯანდაცვაში“.

მოციმციმე არითმია (წინაგულთა ფიბრილაცია) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გლობალური პრობლემაა, რომელიც მატების ტენდენციით ხასიათდება და დაახლოებითი გამოთვლებით მსოფლიოში 30 მილიონზე მეტ ადამიანს აღენიშნება.

მოციმციმე არითმიის ინციდენტობა და პრევალენტობა მატულობს ბოლო 20 წლის განმავლობაში, რაც სავარაუდოდ აიხსნება სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის გაზრდით და მრავლობითი თანმხლები დაავადებების მართვის გაუმჯობესებით, აგრეთვე გულის რითმის მონიტორინგის უფრო სენსიტიური მეთოდების ფართო ხელმისაწვდომობით, რის გამოც შესაძლებელი ხდება არითმიის ადრეული გამოვლენა.

მიუხედავად დიაგნოსტიკის მეთოდების გაუმჯობესებისა, მოციმციმე არითმიის გამოვლენა და მართვა მაინც მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ჯანდაცვის სისტემისთვის, მასთან დაკავშირებული ჰოსპიტალიზაციისა და სიკვდილიანობის რისკის გამო. შესაბამისად, დაავადების ადეკვატური მართვა პირველადი ჯანდაცვის დონეზე მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მოციმციმე არითმიის გართულებების შემცირებას. ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ პირველადი ჯანდაცვის პროფესიონალებს ჰქონდეთ თანამედროვე, უმაღლესი ხარისხის მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებული სახელმძღვანელო მოციმციმე არითმიის მართვაზე, რადგანაც რაც უფრო ადრეულ ეტაპზე მოხდება დაავადების დიაგნოსტიკა და ადეკვატური მართვის დაწყება, მით მაღალია დადებითი გამოსავლის ალბათობა.

მოციმციმე არითმიის მართვა მოითხოვს მულტიდისციპლინურ მიდგომას, რომელშიც პირველადი ჯანდაცვის პროფესიონალებს გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლიათ, რაც გულისხმობს დიაგნოსტიკური ტესტების გონივრულ და რაციონალურ გამოყენებას, მტკიცებულებებზე დაფუძნებული თერაპიული მიდგომებისა და პროცედურების განხორციელებას, სპეციალისტთან რეფერალისა და ჰოსპიტალიზაციის კრიტერიუმების

დროულ შეფასებას და ჰოსპიტალიზაციის შემდგომი მდგომარეობის რეგულარულ მონიტორინგს.

წარმოდგენილ პროტოკოლსა და გზამკვლევში დეტალურად არის განხილული მოციმციმე არითმიით დაავადებულ პაციენტთა დიაგნოსტიკის, შეფასებისა და მართვის უახლესი რეკომენდაციები, პირველადი ჯანდაცვის პროფესიონალების როლი პაციენტზე ორიენტირებულ სამედიცინო დახმარებაში, პრევენციული ჩარევების მნიშვნელობა მოციმციმე არითმიის სიმპტომების სიხშირისა და სიმძიმის შემცირებაში და ჯანდაცვის ყველა დონის პროფესიონალის კოორდინირებული მუშაობის აუცილებლობა მოციმციმე არითმიასთან დაკავშირებული გართულებებისა და ჰოსპიტალიზაციის რისკის შემცირების მიზნით.

პროტოკოლსა და გზამკვლევში გამოყენებულია მოციმციმე არითმიის მართვის თემაზე არსებული უახლესი საერთაშორისო რეკომენდაციები, კერძოდ, ევროპის კარდიოლოგთა საზოგადოების 2020 წლის, ამერიკის კარდიოლოგთა კოლეჯის/ამერიკის გულის ასოციაციის/ამერიკის გულის რითმის საზოგადოების 2019 წლის გაიდლაინები, აგრეთვე, UpTodate-ის, გაერთიანებული სამეფოს, კანადის კარდიოვასკულური საზოგადოების რეკომენდაციები, და მსგავს თემაზე შემუშავებულ სხვა საერთაშორისო სახელმძღვანელოები და მეცნიერული მტკიცებულებები.

პრტოკოლისა და გზამკვლევის შემუშავებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს უშუალოდ პირველადი ჯანდაცვის პრაქტიკოსმა ექიმებმა, რაც კიდევ უფრო ფასეულს ხდის აღნიშნულ დოკუმენტებს კლინიკურ პრაქტიკაში დანერგვის კუთხით.

მოციმციმე არითმიის მართვის გზამკვლევი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას, როგორც მეთოდოლოგია/ინსტრუმენტი დაფინანსების და სერვისების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, რომელიც სრულად შეესაბამება მოსახლეობის საჭიროებებს და განაპირობებს სისტემის ეფექტურობას.

გზამკვლევი მოიცავს მოციმციმე არითმიის მართვის ძირითად ელემენტებს, როგორიცაა: პირველადი ჯანდაცვის დონეზე განსახორციელებელი ჩარევები, მოციმციმე არითმიის მართვის სტანდარტიზებული, მტკიცებულებებზე დაფუძნებული მულტიდისციპლინური გეგმა, სპეციალისტთან ან ჰოსპიტალში რეფერალის და უკურეფერალის კრიტერიუმები, მეთვალყურეობა ჰოსპიტალიზაციის შემდეგ, აგრეთვე მოციმციმე არითმიის მართვის ხარისხის შესაფასებელი ძირითადი ინდიკატორები.

პროტოკოლსა და გზამკვლევში რეკომენდაციები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ, სქემები და ალგორითმები თვალსაჩინოდ ასახავს პაციენტის მოძრაობის გზას ჯანდაცვის სისტემაში, დეტალურად არის გაწერილი მულტიდისციპლინური გუნდის წევრთა როლები.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით ვთვლით, რომ პროტოკოლი და გზამკვლევი „მოციმციმე არითმიის გამოვლენა, დიაგნოსტიკა და მართვა პირველად ჯანდაცვაში“ სრულად შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს და ჯანდაცვის სისტემის

საჭიროებებს და რეკომენდაციას ვუწევთ დოკუმენტების დამტკიცებას წარმოდგენილი ფორმით.



საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა

კავშირის პრეზიდენტი